

# ნიანგი


თბილისი.  
ბაგოცემოლოა  
„კოგუნისტი“



ნახ. ღონისხ

## სწორი შეფასება

- ჩვენმა კანდიდატმა ბიჩოძამ დასდო, რომ არჩევნების დღისათვის კვარტალურ გეგმას ასი პროცენტით შეასრულებს.
- ამომრჩეველთა ხმეზსაც ასი პროცენტით მიიღებს.



1. შიტლერის ბატონობის დროს მას ტრესტის დირექტორის სკამი ეკავა.

2. შიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ მას სკამიც და თანამდებობაც გამოუტყველეს.

### ჯონ ჭორსონის ოჯახური ვნებანი

მისტერ ჯონ ჭორსონი აღელვებული შევიდა რედაქციაში. ხუმრობა ხომ არ იყო, თვეზე მეტი ხანი გავიდა, რაც მას დავალება არ მიეღო ხერსტის ერთ-ერთ გაზეთში ახალი სენსაციის გამოსაქიმად.

წინა დღით მან თვითონ შეამზადა ახალი ხელნაწერი, ეს იყო მორიგი პასკვილი საბჭოთა კავშირზე. ასეთ „სველ საქმეებში“ დახელოვნებულ ჯონ ჭორსონს არა ერთი მოწყალე ღიმილი მიუღია თვით რედაქტორისაგან.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს ღიმილი—უმაღლე დოლარებზე გადაჰქონდა იმავე რედაქციის ბუღალტერიას და ჭორსონი, საბჭოთა ქვეყნის მისამართით, თითებიდან გამოწოვილი ფანტასტიკური ცილისწამებისათვის—ხელდამშვენიებული ბრუნდებოდა სახლში, ადვილად წარმოვიდგენთ მის მღელვარებას ასეთი „გაცდენისათვის“.

ჰოდა, აი, ეხლა გამოიძახეს. ცხადია, საქმე კვლავ დოლარებთან დაკავშირებული წარმოუდგა და მისი ლელვაც ბუნებრივი იყო. მოწიწებით შევიდა კაბინეტში. იგი მოელოდა, რომ რედაქტორი ჩვეულებრივ ღიმილით მიუთითებდა სავარძელზე, — ეტყოდა „დაბრძანდით“.

ასე არ მოხდა: რედაქტორი ცივად იჯდა. პირველხანად თითქოს მისი შესვლაც კი ვერ შეამჩნია. იგი ჩაჰურბდა პატარა წიგნს, რომლის გვერდებზე წითელი ფანქრით გაეხაზა სტრიქონები და წარბშეჭმუხნილი რაღაცას ბუტბუტებდა. ბოლოს თავი აიღო და წყრომით ესროლა ჭორსონს:

— არ ვარგა!

ჯონს ცივმა ოფლმა ჩამოუხაზა საფეთქლები.

— კი, მაგრამ ჯერ ხომ არ წავიკითხავთ?

— წავიკითხე! მარტო მე კი არა, მთელმა ამერიკამ წავიკითხა, წავიკითხეს ინგლისშიც, — გადმოძვეს, რომ თვით მისტერ ჩერჩილსაც წაუკითხავს და დიდათაც მოსწონებია.

ჯონი დაიბნა. ხელთნაწერი მას ჯერ არავისთვის ეჩვენებინა, როგორ შეეძლო ჩერჩილს მისი წაკითხვა? მან ლულულღით მიუთხო:

— ჩემი ხელთნაწერი ჯერ არავისთვის მიჩვენებია და...

— ჯანდაბას თქვენი ხელთნაწერი, — ვის რა ეშმაკად უნდა თქვენი ხელთნაწერი?

— მაშ რაზე მიბრძანეთ არ ვარგაო?

— იმაზედ, რომ თქვენ გაგასწოროთ, შეგარცხვინათ, თავსლაფი დაგასხათ.

— ვინ?

— როგორ? განა კიდევ შეგიძლიათ იკითხოთ ვინ? ამის შემდეგ კიდევ ჟურნალისტს უწოდებთ თავს?

— მე... მე დავიბენი მისტერ! — ამდენი ხანია ანტისაბჭოთა პასკვილებსა ვთხავ. ფანტასტიკურ ამბებს ვაწვდი მკითხველებს...

— სისულელეა! თქვენი ჭორები აღარავის სჯერა.

— მე ხომ თქვენი დავალებით ვმუშაობ მუდამ და...

— მუშაობ, მუშაობ! — გულმოსულად გააჯავრა რედაქტორმა, — მუშაობაც არის და მუშაობაც: — თქვენ მიდიხართ გატყვეპნილი გზით, თითებიდან იწოვთ ამბებს, — საქმე სიახლეა, საქმე მეთოღია, — სწორედ ამაში შეგარცხვინათ, ამაში დაგასხათ თავსლაფი!

— ვინ?

— ვინ და ქალბატონმა ორიანა ატიკსონმა.

რედაქტორმა წითელი ფანქრით გვერდებგახაზული წიგნი გაბრაზებით თვალბრუნებით მიუტანა ჭორსონს:

— ხედავთ რას სწერს, რა შესანიშნავი მეთოდი გამოიხატა: წავიდა, სტუმრად იყო საბჭოთა კავშირში, შთაბეჭდილებები დააგროვა და დაბრუნების შემდეგ, მთელი ეს შთაბეჭდილებები შეაბრუნა, ჭორად აქცია. ეს არის ახალი, ეს არის, რაც საჩვენო მასალას დაძაჯერებლობას აძლევს, ღიახ!..

ჯონ ჭორსონმა თვალი გადაავლო ბროშურის დორბლიან სათაურს:

„ჩემი ცხოვრება რკინის ფარდას იქით“.

მისთვის ცხადი გახდა რედაქტორის გულისწყრომა: ეს იყო ამერიკაში ცნობილი ლიტერატურული სპეკულიანტის ბრუკს ატიკსონის ცოლის—ორიანა ატიკსონის ანტისაბჭოთა მონაჭორების ბროშურა, რომელიც საამო საკითხავ პასკვილად გამოჩნდა ამერიკის რეაქციონური წრეების ბაზარზე და, ამით, როგორც იტყვიან, პირში ჩალა გამოავლო ყველაზე ჭორიკანა ხერსტის გაზეთებსაც კი. ახლა ვასაგები იყო ჯონ ჭორსონისათვის რედაქტორის გულისწყრომა და შეეცადა შთაბეჭდილების შეწელებას:

— ეს მართალია, მისტერ, ასეთ ჭორებს ჩვენში ახლა კარგი გასაგალი აქვს, მაგრამ ატიკსონის ცოლი მაინც ორიგინალური არ არის.

— რატომ არ არის?

— იმიტომ რომ ეს ჭორები თავდაპირველად მაინც მისტერ ჩერჩილს ეკუთვნის; მაგალითად „რკინის ფარდა“ და სხვა ამისთანები.

— საქმეც ეგ არის, რომ ჩერჩილს ეკუთვნის! ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთი დიდი ფიგურის მიერ ჩამოკალიბებული ჭორები ჩვენ არ უნდა განვაფიქროთ, არ უნდა გავავარცულოთ? არ ვარგა ასე.

ჯონ ჭორსონმა თავი ჩაჰქინდრა, იგი ჰგავდა გალახულ გოშიას, რომელმაც ვაბედა და პატრონის საპატიო სტუმარს შეუღრინა, რომ ამით თავისი გოშიობა დაეკტიცებინა. რედაქტორმა დაარღვია ეს ღუჟილი:


— თქვენ ხომ ცოლი გყავთ?

— ღიახ, როგორ არა, — მან ჩინებული კერვა იცის, კეკსების და რულეტების ცხობა.

— სისულელეა — კეკსების ცხობა, როცა მას შეეძლო ასეთი რამ გამოეცხო და ამით ესახელებინა თავისი ქმარი, როგორც ატიკსონმა მოიმოქმედა, ახლა კი რა ხართ თქვენ ატიკსონთან შედარებით? ბუზი ხართ, მუშლი, ქინქლა, აი, რა ხართ თქვენ.

რედაქტორთან ამ „მრისხანე შეხვედრის“ მეორე დღეს, ჯონ ჭორსონი ცოლს გაეყარა, რადგან მას კერვისა და სამზარეულო საქმეების მეტი უნარი არ აღაოაზნდა და მისს ატიკსონს ცოფიანი კალმის წრიბინში ვერ შეეტოქა.

თარხნი



რეპერტოჟში მივიტანე,  
დამიმტკიცეს პიესა,—  
— გაიჩარხა საქმე-მეთქი,—  
ალტაცებით ვსთქვი ესა!  
თეატრისკენ გავფეშურე  
გულდაიხედებულნი,  
ზღრუბლთან დამხვდა თეატრალურ  
კრიტიკოსთა კრებული:  
რეჟისორი,  
დირექტორი  
და მხატვრული ქებული.  
ყველას ჰქონდა ფანქრის წვერი  
კოხტად წაწვეტებული.  
— გამარჯობათ!  
— გაგიმარჯოს!  
(ზრდილად თავი დახარეს!)  
— პიესა გაქვს?  
— პიესა მაქვს!  
— უპ, რარიგ გავგახარე!  
დავდგამთ, მაგრამ, როგორ დავ-  
დგამთ,

„გაპოვაშიგნიტიკებთ“;  
დაწუნებას კი რას გერჩით,  
მაგრამ გავაკრიტიკებთ!  
აბა, ერთი განვიხილოთ!..  
ხელთნაწერი გათვალეს  
და სამ ცხვირზე წამოსკუბდა  
სამი კოხტა სათვალე,—  
გადაფურცლეს, გადმოფურცლეს,  
უწყეს „განხრებს“ ძიება,—  
მათს შემყურეს დამემართა  
სამგზის ჰინჭრის ციება!  
ბოლოს მითხრა რეჟისორმა:  
— რაღა დაგვეფიცება?  
პიესაა ჩინებული,  
არ სჭირდება მტკიცება,  
მაგრამ მაინც ერთი ნაკლი  
მას ხელს უშლის უდავოდ  
და სპექტაკლი ამ ნაკლისგან  
უნდა გავასუფთაოთ.  
შენ აქ მთავარ მოქმედ პირად  
წერო რომ დავიხატავს,  
იგი, მხატვრულ თვალსაზრისით  
საქმეს, ცოტა გვიკვანტავს,

რადგან წეროს მეტისმეტად  
გრძელად მოუჩანს ნისკარტი,  
გრძელცხვირა კაცს ლაპარაკი  
უყვარს ხოლმე დისკანტით!  
მე კი ვარჩევ, რომ ეს გმირი  
ხმის გვასმენდეს ბარიტონს,  
რომ ეს როლი მივაკუთვნო  
ჩვენს ტრალიკოსს—ხარიტონს.  
ამის გაშო, ჩემის აზრით,  
წეროს ცხვირს რომ მოსჭრიდე,  
სპექტაკლს დავდგამ, ისეთ სპე-  
კტაკლს,

რომ არავის მოწყინდეს!  
\*\*  
დანარჩენნიც დავთანხმენ,  
დავეთანხმე მეცა და,  
პიესა გადავაკეთე,  
ვით რეჟისორს ეწადა.

\*\*  
მივიტანე, განიხილეს,  
ხელმეორედ შეაქეს,  
მაგრამ ახლა ჩემი წერო  
სხვაფრივ გამიქიაქეს.  
მხატვრულმა სთქვა:—ეს ფრინველი,  
თუ მოქმედი პირია,  
ფეხები რომ ამსიგრძე აქვს,  
რა ციკქნა აქვს ცხვირია?  
და, ამიტომ, რომ სცენაზე  
სიმეტრია დავიცვათ,  
ერთი ზომის უნდა ჰქონდეს  
ფეხებიც და თავიცა!  
დასკვნა მოდის თავისთავად,  
რას თქვენს წეროს ვეხებით:  
უნდა ზემომოსახრელში  
გადაეჭრას ფეხები.

\*\*  
დანარჩენნიც დავთანხმენ,  
დავეთანხმე მეცა და,  
პიესა კვლავ შევაკეთე,  
როგორც მხატვრულს ეწადა!

\*\*  
მივიტანე... ხელმეორედ  
განიხილეს ქებითა,  
მაგრამ, ახლა დირექტორმა  
მითხრა მოწიწებითა:  
— როგორც ავტორს, ალბათ გი-  
მძიმს  
კიდევ ოპერაცია,

მაგრამ ალბათ, თვითვე ხედები  
ახლა საქმე რაშია;  
ნისკარტი რომ მოაჭერი—  
ეს სწორია, ბიძია,  
შემდეგ ფეხების გადაჭრაც  
ამან გამოიწვია,  
მაგრამ სრული სიმეტრია  
მაინც არ აქვს წეროსა:  
ამხელა ფრთებს—უფეხებო  
როგორ შეეფეროსა?  
ჩემის აზრით, ფრთებიც უნდა  
ისე შეეკვეციოსა,  
რომ ის შეეხამებოდეს  
ნისკარტს—ერთბეწოსა!

\*\*  
თქვენც მიხედებით, ამ არგუმენტს  
წინ რა დაუდგებოდა?  
წეროს ფრთებიც დავაჭერი,  
თუმცა მეცოდებოდა!..  
სიმეტრია აღვადგინე  
და პიესა წარვადგინე,  
ისევე საგანგებოდა!

\*\*  
კვლავ სამ ცხვირზე წამოსკუბდა  
სამი წყვილი სათვალე:  
გადაფურცლეს, გადმოფურცლეს,  
გადახრები დათვალეს.  
და, სამი დამბაჩის მსგავსი  
პასუხი დამახალეს:  
— შენი წერო აღარ მოსჩანს,  
როგორც წეროს რიგია,  
და, საერთოდ, ფრინველსაც კი  
აღარა ჰგავს იგია!  
და რომ თავი დავაღწიოთ  
მახინჯ სულისკვეთებას,—  
ეს პიესა კვლავ თავიდან  
ითხოვს გადაკეთებას!

\*\*  
რას ვიზამდი? წამოვიღე  
ნაწამები პიესა,  
— კიდევ შევაკეთებ-მეთქი,—  
გულში ტანჯვით ვსთქვი ესა.  
ჩაუფუქე და ვიმუშავე  
სამ თვეს დღით და ღამითა,—  
კომედია წამოვიწყე,  
დავამთავრე დრამითა!  
ფარსადანი





— რა ქნა ახმაძიძემ, შტაგის ზრდის ზემოთ ვერ შედგინა?

— ვერა, ტუშინ ველანდი გამოეყოლა და საქმე შეაყურებდა.

— დიღობუდარის შტინ საქმე კონკრეტული, ყოველივე ერთი საბათით ადრე შრომისარის სასაბუხარში.

— ლომის წელში ტყუდეს ჩვენი ვინა, ყოველ დღე ათას საქმეს აყვითებს.

— ძალიან გულუვა ყულის გვეყვითლებით, თუ ვაბეზღვებს ვნერ ხოლასის მომავლის შესახებ და ყოველ დღე ათას საქმეს.

— ეს თარი დღე მთელი განსაზღვრულია შტაგის შეთანხმებით და რა უნდა შევქმნათ?

— უკეთესი წიბი აქვთ, იგივე თარის ქორაბე?

— მთელი დანსეუ ლბა გადავებრუნე და წერაქვამე უკ ვაბეზღე.

— დანსეულებს რას აბრუნებთ, ტყუილი ხომ გადავებრუნებთ?

— აქეთ, ხარკონი, სადა ხარ, ერთი კვირა საშასურში არ მასუდხარ?

— რა გქნა ღირეკვირმა მძახანა სასახურში მთავარი არ მიხვიდე.

— დიღობუდარი

### გ ა ე ე ვ ო მ ნ ი

დიღობის ნატრა შემსრულდა: ოთახში ტელეფონი დამიდევს, კარგია ტელეფონი. მავალითად, ოჯახში, ან მეზობლად უკრად ვინმე ცუდი ვახდა, შეგობლით სასწრაფო დახმარებას ვაბოუხახობი. თქვენ ესურთ მოულოდნელი საჭის გამო სასახურიდან ოჯახს აცნობით:

— ელოკი, გენაცვალე უჩუოდ ისადილე, დამავიანდებდა. ან— ვაბმაზე არ დამიცადო, მირიკე ვარი.

ან ესურთ უახლოეს მეგობარს ესაუბროთ აუცილებელ საჭიროების საქმეზე, რათქმუნდა, მსუც კარგია. უპირველეს ყოვლისა კი ყველას ვაბოროთ და, სახანაო რაზმი

გამომსახებელი, აქ ხომ ტელეფონი უდარი საშუალებაა. მაგრამ ჩემდა საშუაბაროდ ზოგიერთი მეზობლის საბედნიეროდ ასე არ ხდება.

თამად მეზობელი მეყვს და ასადელ გარემოებულ, რომლებიც ჩემს ტელეფონს კვლა თავისად ისაღებს, როგორ? იი ასე:

- მეტრამის ბინაა? — მოგესმებათ უფროლი.
- არა... არა...
- როგორ თუ არა, ვამ ვინის?
- ბაღრაბაძის.
- როგორ თუ ბაღრაბაძის, მოქალაქე, თქვენ აღბად სტუმარი ხართ და თუ შეი-

ძღებოდეს ტელეფონის პატრონს სთხოვერ

- მე გახლავარი ტელეფონის პატრონი
- ძველ ხარ? ძუეთ, გენაცვალე, ვინ იყო რაკცი, რა უხარდელი ყოფილა.

ასეთ „პატრისკების“ შედეგად თქვენ ბძღებოდეს ხართ ტელეფონის მლი ჩამოკლელოთ.

რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ წყარუნ

- ბაღრაბაძის ბინაა?
- დია.
- თუ შეიძლება, გენაცვალე, თქვენ ბინიდან მეუბნებოდეს სახლი სახოვეთ ვიშეს, ან ვადავითყი, რომ შენმა ბინაშელო მამიდაშელო ნაილოლა დარეკა და იგით კატა რომ დაკარგეთ, ნახეთ თუ არათქმირველ ხანებში თქვენ წესტრად ემსახ-

რებით თქვენი ტელეფონის ასეთ აბინენ-ტებს“, მაგრამ როცა ფაქტები საზღვარის გადაცდება, თქვენ იმდენ „უხარდელბას“ იხიბთ, რომ მეუბნებოდეს და თქვენ უცნობარად სახლი ადარ ექმბით ვინ დაკარგა კატა, ან ლეკვი.

მაგრამ ხშირად ზოგიერთი მეზობლისადმი მორიდება გაიძულებთ და ასათით თქვენი ტელეფონი, თუნდაც მთელი დღით.

ამა როგორ ვინდათ უარი უხარბო, როცა თქვენს ოთახში შემოიღეს ახალგაზრდა კვლუცი ქალი და გეუბნებოდა:

- ბოღნი... მთოლოდ 5 წუთია... თუ შეიძლება...
- შობიანდით...
- და „მოიიდებელი“ მეზობლის 5 წუთი 5 საათს გრძელდება:

— ბინაა? სამი დღის შემდეგ იმეზმებეთ თუ არა? ეშმაკმა წაგლოთ— და იგი ხელახლა კრებს ახალ ნორმებს:

— წესე, გენაცვალე, პარკიანებით ვერ წამოშვებთ დღეს არ მეზომს? ამა, ვინოში იხე როგორ წავედი? აქვინა ხომ წამოხება? სად? სად და საბურთალოზე? პო, ვნახით, დავთვლივლოთ, ფაქტები ვავიკოთ.

— საიდან არის? შენ ხარ ვინა? ვინა? ვინა? ნახე რა ზელა უყვინა თამარს? ცოცხალი გეკონება. აქ არ მოყვინო? რატომ, მოგონა?

და ასე ვგრძელდება მანამ, ვიდრე ოთახში ცვლიან, ოჯახის ახალგაზრდებმა წერმა მინე მოუაროს მინაველი ამ სახელად ჩემს და სალაპარაკოდ სტვის ტელეფონს!

— ღილის შემდეგ სამშობაობად ვრეკე, ელიკი (ჩემი მეუღლე) უცბით ცუდათ ვილბა და მესს ნახავს ითხოვს. ამა ჩქარია.

თქვენე აღივლებლად იცებთ და წასლის ამირბით. ან უფროთ მთლაპარაკე მეზობელი კარბთან გარეუბით და გეუბნებთ:

- თქვენ წაუთი, კავებს მე დავტეტივ... ალოლო... ალოლო... ნაივლა გენაცვალე... და ისე ვინავრობს ასაქმინ— ლაპარაკს.
- თქვენ ვინავრობს გათხოვნიან სალოლონ და თუ სამშობაობო-სადავადყოფი მიგრეკარებათ, შეიძლება ჩემსავით ჩილაპარაკოთ:
- მე შტეპელი და იქნება ამ დლოცვლიან, ოჯახის ახალგაზრდებმა წერმა მინე მოუაროს მინაველი ამ სახელად ჩემს და სალაპარაკოდ სტვის ტელეფონს!
- სახლი ხარ, კაცი?
- რა იყო, რა ამბავია?

ბ. მალაიძე

ტკბილეულობით მოვაკრე... წერტებში ხშირად ფასებს ამბინჯებენ.

ნახ. გ. თომაშვილისა

დუშეთის რაიონის სრფ. ხომ-აფშოს ბერიას სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ნაგროსაშვილმა, მომაკვდავი ცხენი მიჰყიდა თავის კოლმეურნეობას. ცხენი ერთ კვირაშივე მოუკვდათ.

ამბობენ, ფშაველ დავითოს ჰყავდა ფრთოსანი ცხენი; ამ მერნით დაუღაბნა ფშავეთის მთა და ველია, უეცრად ავად გაუხდა, შეხედა რაღაცა სენია,— ექიმს შესთხოვა:—მიშველე, ასე რად გავიწირია? ექიმმა უთხრა, ერთს გეტყვი, რჩევა არა მაქვს ძვირია: ეგ ცხენი აღარ მორჩება, რაღა ექიმი სჭირია? ადექი, ფუულად აქციე, თორემ მოგჭამა ჭირია. ასეც მოიქცა დავითო, აღარ შეუწუხდა ძალიან,— ცხენი კოლექტივის მიჰყიდა, მისცეს ცამეტი ცხენია. ერთ კვირის შემდეგ იმ ცხენმა უდროვოდ სული დალია, დავითმ მწვადი წვა ცხერებისა, წინწარაქალიც დალია. გვითხარი ჩვენო ნიანკო, ეს არის სამართალია? ამ ჩვენს კოლმეურნეობას რა მიუძღოდა. ბრალია?

მინდი ველგუჯაური



— ძია, გუშინ ორი მანეთი ღირდა მამალი, დღეს ხუთ მანეთს რატომ მახდევინებ? — გუშინ ყვინილა იყო, დღეს უკვე გაიზარდა, მამალი გახდა და ფასიც მოემბა.

(სტალინირბადან)


სტალინირში ბევრი რამ გვაქვს საბოტაჟი და საქები, ქუჩები და შენობები, თლილი ქვებით ნაკვები. მაგრამ ახლა მხოლოდ ნაკლებ საუბარი გვწადიან, რომ ძირშივე აღმოიფხვრას დეფექტები ადრიაან. ავტო სადმე თუ დაგვირდეს, ნუ იკითხავ: ვისია? თვით შოფერი წააბრძანებს, თუ არა ხარ ნისია. ბაზარს გავლა თუ მოგინდეს, ნუ შეგაკრთობს სიშორე, — თლონდ წვიმა თუ მოვიდა, უკბად ნავი იშოვე. წყალსადენის მადლიერსა, ვერა ნახეთ ასი ათს, — ხან წყურვილი ახრჩობს კაცსა, ხან კი — ჭურჩა წყალს მიაქვს. სისუფთავის ტრესტი გვიდგას სისუფთავის დარაჯად, მაგრამ თვითონ სისუფთავე — ჯერჯერობით არა ჩანს. ჩვენს დახურულ მაღახიას დასწყევლია გაჩენა, ერთი „უ“ რომ გამოაკლო, დახრული-ლა დარჩება. ჩვენში, სადმე შოლარესთან თუ ხურდაზე იხრუნე, — „მელხინიკი ყოფილხარო“ — ხურდად ამას გიბრუნებს. როცა ჩვენი ელსადგური ყინვის სუსხში ჩაკვდება, მონტიორთა „მუშაობა“ სწორედ მაშინ ჩაღდება. გაზბიუროს შესჩვევია ჩვეულება ასეთი: ეხარება, რომ სოფლებში დროზე ჰგზავნოს გაზეთი. ვინ არ იცის, ჩვენს რადიოს რა კეთილი გული აქვს: რომ ხალხს თავი არ ატყინოს, სულ გაჩუმებულია.

ა. ლიახვისპირელი

წინდახედენი

სადგურ გომიდან (ხაშურის რაიონი) თბილისისაკენ მიმავალმა მატარებელმა გაგვისწრო. შევალეთ სადგურის დარაზის კარი. მგზავრები სცივეს აეტანა, ბევრი მათგანი ცვეკვავდა. უმინო ფანჯრებიდან ხანგამოშვებით ქარი, თითქოს განგებ ვინმე მუჭითა ჰყრისო, ისე ჰუნტავდა დარბაზში თველს. მგზავრობისაგან შემორჩენილი სითბო ერთხანს გვეყო სიმშვიდის შესანარჩუნებლად მეც და ჩემს ამხანავსაც, მერე კი დაეკარგეთ მოთმინება. რომ გვეცვეკვა უხერხული იყო; ის იყო მახლობელ სოფელში ბიძაშვილი გავასვენეთ და იქიდან მოვიდოდით. სადგურის უფროსმა გადაგვიჭრა გზა. — შეგვიცვდა ალბათ. ასე გერჩისო; აქ რომ მინები ჩავსვით, მერე დარბაზში სიბაბო დატრიალდება, ნათბილარი მგზავრები გარეთ რომ გავლენ, უფრო შესცივით. ა, გვერდით ბუფეტი, შებრძანდით, იქ თბილა, ერთი-ორი ჩაი გადაკარით და მანამდე თქვენი მატარებლის დროც მოვა. ამ რჩევამ თითქოს თვალები აგვიხილა და მარჯვნივ, ბუფეტში სასწრაფოდ შევედით. კარებთან მდგომ თავდასთან მჯდომმა კაცმა შემოგვიხილა — მოგვცდი, გავთავდი კაცი, ექვსი ჭიქა ჩიი დავლიე, მეტი აღარ შემიძლია. — რათ სვამდი შე კაცო, ამდენს. ფული მინიც არ გენანება? — ფულს ვინ დავებდს, ისე არ გაგაჩერებენ, აქ ასეთი წესია. სიცვიში ყოფნას კი ეს ვარჩიე... მეტუფეტემ შეგვაწყვეტინა საუბარი: — აბა, ამხანავებო, თუ რამეს მიირთმევთ, თუ არა — მიბრძანდით. — ჩვენც ჩაი მოვითხოვეთ... ბუფეტში სადგურის უფროსი შემოვიდა და ტკბილი ხმით ჩასჩურჩულა მეტუფეტეს: — დარბაზის ფანჯრებში რომ მინები ჩამესვა, ამდენი მუშტარაი არ გვეყოლებოდა. — ეტყობა ძაან ცივა, — მიუჯო მეტუფეტემ. — არაყის ნატაძალიც აღარ დამარჩა გაუსაღებელი. მე და ჩემს მეგობარს ისე მოგვეწონა მათი წინდახედულება, რომ განვიზრახეთ ნიანგის საშუალებით მათი შესანიშნავი წამოწყება სხვა სადგურის უფროსებისათვისაც გაგვეზიარებინა.

3. მთიული




კომუნისტური სამსახური

ზოგიერთი კაცი სამსახურში ფებს ვერ იკიდებს, წელიწადში რამდენიმე ადგილს იცვლის: დადის ქალაქიდან — ქალაქში, რაიონიდან — რაიონში, წარმოებიდან — საჯარო ორგანიზაციაში, კოლპეარატურულ არტელიდან — ინვალიდთა არტელში. ასეთ მოსიერნეთა რიცხვს ეკუთვნის აფრიდონ მწყერაძეც. აფრიდონის „მომთაბარეობას“ თავისი მიზეზები აქვს და სჯობია ეს მიზეზები ახლავე გააცნოთ: ინტრიგა — რაშიც. აფრიდონის მტკიცებით, ყოველთვის სხვა არის დამნაშავე, თვითონ კი უწყინარი კაცია, ე. ი. ინტრიგაში ურევია. მაგრამ არ უფასებენ; ლოთობა — ღვინო და არაყი თვით არ უყვარს, მაგრამ სხვები აძულდებენ ღვინოს სმას (ხათრიანია და ეს ლუპავს აფრიდონის საქმეს); ამას დაუმატეთ ისეთი „უწყინარი“ თვისებებიც, როგორცაა გულგრილობა, ხელგამკრაობა, მედიდურობა და სხვა მსგავსი წვრილმანები და თქვენ წარმოგიდგებათ აფრიდონის „დაჩაგრული“ ფიგურა. ჰო და ყველა ამ ძვირფასი თვისებების გამო, აფრიდონი განუწყვეტელიც იცვლის სამსახურს, მუდმივ უკეთესის ძიებაში, ჯერ კიდევ მოუპოვებელი ავტორიტეტი სულ მთლად დაკარგა და ახლა უძნელდება სამსახურის მოვნა, რადგან ამდენ ყილაში ყველამ გაიცინო ის, როგორც „გამოცდილი საბუფრენო მუშაკი“. დიდხანს იარა ასე კარდაკარ აფრიდონმა. ბოლოს მიადგა შორეულ მოყვარეს, ანუ მისი თქმით, მკვიდრ სიძეს (გამზრდელის დის გერის ქმარს), რომელსაც პასუხსაგები თანამდებობა უკავია და არ მისცა საშველი — სამსახურს თხოვდა, სისტემატურად დადიოდა მასთან, ხშირად დღეში ორჯერ-სამჯერაც. — შენი ჭირიმე, დაურგვე ტრესტის მმართველს, მისწერე წერილი სამმართველოს უფროსს, გამგზავნე მშენებლობის ხელმძღვანელთან. მიშოვონ რიგიანი სამსახური, არ გაქმევე სირცხვილს, ცხოვრებაში გასახელებ, — არწმუნებდა „სიძეს“. უხარხულობაში ჩაგარინება, განაწამებ „მკვიდრ სიძეს“ ავტო გამოსავალი არ ჰქონდა — უნდა დახმარებოდა, მაგრამ კარგა დიდხანს ვერაფერი „რიგინი“ და „შესაფერი“ ვერ უშოდა და ბოლოს ეს სთხოვა: — წადი სახლში და თუ რაიმე გამოჩნდება, მე თვითონ შეგატყობინებო. მწყერაძე დასთანხმდა და სახლში წავიდა, მაგრამ სიძეს არ ივიწყებდა და დღეგამოშვებით თაბახის ორ-

მანი



(თითების სახელწოდების ახალი განმარტება) გიგლიოთაქა



— რატომ აძლევს სალამს ნოტებს ის დირიჟორი?  
— ახალ ოპერას დირიჟორობს და შიგ ძველი ნაცნობი კომპოზიტორები ხვდებიან: მოცარტი, ჩაიკოვსკი, გლინკა და სხვები, რომელთა წინაშე მოწონებით თავს იხრის.

ყველა ჩვენგანმა იცის ხელის თითების სახელწოდებები: ცერი, საჩვენებელი თითი, შუათითი და ასე შემდეგ. მაგრამ რატომ აქვს თითებს ასეთი სახელწოდება, ან სხვადასხვა მოყვანილობა, დღემდე ცნობილი არ არის. აქვე ვიძლევი დაწვრილებითი, სალექციონო განმარტებას:

1. ცერი—ყველაზე მსხვილი და ყველაზე ბიუროკრატიული თითია. მეტ ხმარებაშია უთავრესად ბიუროკრატ მუშაკთა ხელზე.



მოხერხებულად იცის გაწევა ზურვისაკენ, როცა ბიუროკრატი ამბობს:

— მე არ მეხება, იქით მიბრძანდით!

2. საჩვენებელი თითი—ზოგიერთ დაწესებულებაში—ეს არის მუქარის თითი. მოძრაობს განსაკუთრებით მაშინ, როცა გაკრიტიკებული დირექტორი თანამშრომელს ემუქრება:



— მე შენ გიჩვენებ, როგორც უნდა უფროსისათვის ცილისწამება!

3. შუათითი—მოძრაობს ტრაბახის დროს. მაგალითად, როცა უფროსი თანამშრომლებს მიმართავს:



— ხომ იცით, მე ვინ ვარ!

4. არათითი—განვითარებული აქვთ უმთავრესად ოფიცინტებსა და ბულალტრებს. ამ

მეცნიერება და ტექნიკა

ჩაბიონაღური ნინაღაღება

თბილისის სტალინის სახელობის ჩაბიონაღურს კომუნალურ განყოფილებას

კლარა ცეცკინის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, აღმოვაჩინე აგურის ქარხანა-გიგანტის ასაშენებელი ადგილი. აქ, როგორც თბილისის მცხოვრებლებმა იციან, ერთი წელიწადია გათხრილია ქუჩის შუაგული და

მვლედებს დამდამობით საშუალება ექნებათ უფრო გაბედულად შეტევიან და დაწილონ აგურის მასალა—თიხა. ტრამვაის ხაზის გადაკეთება მთლიანად არ დაგვირდება. აქ საკმარისია მხოლოდ ხაზზე ვამუშაოთ ტვირთსაზიდი პატარა ვაგონები, აგურის მასალის მისატან-მოსატანად.

ქარხნის უზარმაზარი ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, საჭიროდ ვთვლი ახლამახლო გაბნეული უამრავი გუბეები გავაერთიანოთ და გადავაკეთოთ ტბად. ტბაში შეიძლება მოვაშენოთ თევზები და როდესაც რაისაბჭოს კომუნალური განყოფილების მუშაკები გვესტუმრებიან, ნემსკავებით ვათევზაოთ და შემდეგ უგემრიელესი კალმახით გავუმასპინძლოდეთ. (სურ. 2).



ამონათხარი თიხა გაბნეულია აქეთ-იქით. წვიმიან ამინდში მოსიარულე ხალხი ფეხებით ზედავს თიხას და ამრიგად, აგურის მასალა, დამუშავებული უფასო მუშა-ხელით, ყოველთვის მზად არის. (სურ. 1). ქარხანაში გამომწვარი აგურის წადება შორს არ მოგვიხდება, რადგან ამავე ქუჩაზე მდებარე რამოდენიმე სახლი უკვე დასანგრევ მდგომარეობაშია. (ერთ-ერთმა სახლმა, სახელდობრ № 158 მა, გვემით გათვალისწინებულ ვადაზე აღრე წაიღო თქვენი ქირი).

აგურის ქარხანა-გიგანტის აშენებასთან დაკავშირებით მოგვიხდება აგრეთვე ქუჩის უბრალო რეკონსტრუქცია. საჭიროა ამ ქუჩაზე განლაგებულ ელექტრობოძებიდან მოიხსნას მძუჭავი ელნათურები, რის შემდეგ სრულიად დაბნელება და გამკლელ-გამო-



პროექტით განსაზღვრული მშენებლობის დანარჩენ, არქიტექტურულ გაფორმებას ვაძლავ რაისაბჭოს მთავარ ინჟინერს.

მეცნიერების დაუმსახურებელი მოღვაწე გაა



თითით ისინი ჩოთქში აგდებენ იმ თანხას, რომელიც მათ უკანონოდ აქვთ მითვისებული. 5. ნეკი—გამყიდველების გამამდიდრებელი



თითია. ესაჭიროებათ სასწოროზე დასახმარებლად.

შეადგინა შ. შ.—იამ

# სანახაობანი ლონდონის ქუჩებში

ინგლისში აღმოაჩინეს ფარული ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობდა დაპატიმრებულ ჰიტლერელთა გაქცევას—სამხედრო დამნაშავეთათვის მკაცრი ბანაკებიდან. პოლიცია იცნობს აღნიშნული ორგანიზაციის ხელისშეწყობას რებს“.

ნახ. ი. გეგაშვილისა



— ეს ჯენტლმენები დასაქვრად მისდევენ იმ გაქცეულ ჰიტლერელს?  
— არა, აცილებენ, რომ არავინ დაიჭიროს.

სარედაქციო კოლეგია: ი. გეგაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1947 წ. 12/II ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოც. № 16 შევ. № 221. ტირ. 7500 უმ 01603